

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკონკურსო კომისიის სხდომის
ოქმი N2

ქ. თბილისი

5 მარტი 2015 წ.

შესყიდვის საგანი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ქ. ზუგდიდში, დემურას ქ. N1-ში მდებარე შენობის (საკ.კოდები: N43.31.42.192.01.502; N43.31.42.192.01.507; N43.31.42.192.01.509; N43.31.42.192.504) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (N1483) საშუალებით.

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

- გრიგოლ გიორგაძე

საკონკურსო კომისიის წევრები:

- შოთა რეხვიაშვილი

- ირაკლი დიხამინჯია

- ბესარიონ ბუჩუკური

- მურად აბლოთია

- კახაბერ ჩხარტიშვილი

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:

- ნოდარ ყოჩიშვილი

- გიორგი კველიშვილი

- ნინო მენტეშაშვილი

- მაიკო მიქაია

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრები გვანცა შენგელი, კახაბერ პეტრიაშვილი, მამუკა ცოტნიაშვილი, გოგი ფაცაცია და კომისიის აპარატის წევრი- ირაკლი თოფურია.

დღის წესრიგი:

ქ. ზუგდიდში, დემურას ქ. N1-ში მდებარე შენობის (საკ.კოდები: N43.31.42.192.01.502; N43.31.42.192.01.507; N43.31.42.192.01.509; N43.31.42.192.504) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსში (N1483) მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება.

საკონკურსო კომისიამ მოისმინა:

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ საკონკურსო კომისიას წარუდგინა სამინისტროს მიერ 2015 წლის 20 თებერვალს გამოცხადებულ კონკურსში (N1483) მონაწილე კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტებით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, მან აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებისთვის საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2015 წლის 04 მარტს, 15:00 საათზე;

კონკურსში (N1483) მონაწილეობდა და თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ოთხმა კონკურსანტმა:

1. შპს „ბ.დ ჯგუფი“;
2. შპს „არქსერვისი“;
3. შპს „საქბინრემპროექტი“
4. შპს „Live Desing“.

სხდომაზე აღინიშნა, რომ საკონკურსო წინადადება წარმოდგენილია დალუქული კონვერტებით, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადებში. საკონკურსო კომისიის სხდომის მიმდინარეობისას კომისიის აპარატის მიერ, საკონკურსო კომისიის წევრების თანდასწრებით განხორციელდა შემოაღნიშნულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების მიერ გამოგზავნილი დალუქული კონვერტების გახსნა და მასში არსებული საკონკურსო დოკუმენტაცია განხილვისათვის გადაეცა საკონკურსო კომისიის წევრებს.

მინისტრის პირველი მოადგილე
საკონკურსო კომისიის სხდომის თავმჯდომარე

მინისტრის მოადგილე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
განსახლების ობიექტების ტექნიკური
ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი
საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
დევენლოთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით
უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

საკონკურსო კომისიამ განიხილა:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ მიმართა დამსწრეებს და განუმარტა, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა კონკურსში მონაწილე კონკურსანტების ვინაობა, საკონკურსო კომისიის წევრები და საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები ვალდებული არიან წერილობრივ დაადასტურონ, რომ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის წევრები ხელმოწერებით დაეთანხმნენ ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ხელწერილის მოთხოვნას.

საკონკურსო კომისიის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტით გამოგზავნილი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაასახელეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი.

1. შპს „ბ.დ ჯგუფი“ – 18 000.00 ლარი;
2. შპს „არქსერვისი +“ – 15 400.00 ლარი;
3. შპს „საქბინრემპროექტი“- 24 000.00 ლარი;
4. შპს „Live desing“ – 18 750.00

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია და აღნიშნეს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი ჩასატარებელი სამუშაოების კონცეფციების შესწავლის მიზნით გადაეცეს სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფის სამმართველოს, რომელიც შეისწავლის და მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგენს თავის მოსაზრებას კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციების შესახებ.

საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:

1. კონკურსში მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შეფასება მოხდეს საკონკურსო კომისიის მომდევნო სხდომაზე.
2. სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფის სამმართველომ მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფციების შესახებ.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

გრიგოლ გიორგაძე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:

ირაკლი თოფურია

საკონკურსო კომისიის წევრები:

გიორგი კველიშვილი

შოთა რეხვიაშვილი

ნინო მენტეშაშვილი

მამუკა ცოტნიაშვილი

ნოდარ ყოჩიშვილი

გოგი ფაცაცია

მაიკო მიქაია

ბესარიონ ბუჩუკური

ირაკლი დიხამინჯია

კახაბერ ჩხარტიშვილი

მურად აბლოთია

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

5 მარტი 2015 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, ქვემოაღნიშნული პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2015 წლის 20 თებერვალს გამოცხადებულ კონკურსში (N1483) ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვის ობიექტი:

ქ. ზუგდიდში, დემურის ქ N1-ში მდებარე შენობის (საკ.კოდები: N43.31.42.192.01.502; N43.31.42.192.01.507; N43.31.42.192.01.509; N43.31.42.192.504) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის საშუალებით.

საკონკურსო კომისიის თავჯდომარე

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები:

გრიგოლ გიორგაძე



ირაკლი თოფურია

საკონკურსო კომისიის წევრები:

გიორგი კველიშვილი



შოთა რეხვიაშვილი



ნინო მენტემაშვილი



მამუკა ცოტნიაშვილი

ნოდარ ყოჩიშვილი



გოგი ფაცაცია

მაიკო მიქაია



ბესარიონ ბუჭუკური



ირაკლი დიხამინჯია



კახაბერ ჩხარტიშვილი



მურად აბლოძია

